



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 28 თებერვალი, 2022

სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი

ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ზვიად კორმაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნატო ბურთიკაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3 - თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნატო ბურთიკაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) თინათინ ჩანადირის, ლევანი შეთეკაურის და ანა ვერძაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თინათინ ჩანადირის, ლევანი შეთეკაურის და ანა ვერძაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ლია ხარაძის, ირაკლი რატიანის, ნინო მხეიძის და ლელა გელაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, (მომხრე 8 - დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი; წინააღმდეგი 1 - ზვიად კორძაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლია ხარაძის, ირაკლი რატიანის, ნინო მხეიძის და ლელა გელაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ზვიად კორძაძემ. მან აღნიშნა, რომ საწევრო დავალიანების გამო ადმინისტრაციული წარმოების

ფარგლებში ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შემდეგ, პირთა ხელახალი გაწევრიანების საკითხის არსებული პრაქტიკა გადასახედია, რადგან ტერმინი „ხელახალი გაწევრიანება“ არ არის განსაზღვრული არც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში და არც ასოციაციის წესდებაში. აქედან გამომდინარე, დასარეგულირებელია ზემოაღნიშნული საფუძვლით წევრობაშეწყვეტილი პირების პროფესიაში დაბრუნების საკითხი, რომელიც უნდა მოხდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საერთო წესით, ან შემუშავდეს ცალკე მექანიზმი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული საკითხი მოსაწესრიგებელია და რელევანტურია მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი სწორად დარეგულირება.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა წინადადება მცირე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც გადახედავს არსებულ პრაქტიკას და შეიმუშავებს პროექტს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საწევროს გადაუხდელობის გამო წევრობაშეწყვეტილი პირების პროფესიაში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე დასახელდნენ სამუშაო ჯგუფში წევრობის მსურველთა კანდიდატები: როინ მიგრიაული, ზვიად კორმაძე, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ია გაბედავა და გიორგი ჭეხანი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საწევროს გადაუხდელობის გამო წევრობაშეწყვეტილი პირების ადვოკატის პროფესიაში დაბრუნების საკითხზე მუშაობის მიზნით, შეიქნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: როინ მიგრიაული, ზვიად კორმაძე, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ია გაბედავა და გიორგი ჭეხანი.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების თაობაზე განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების ბაქარ სირაძის და ანა გუჯარაიძის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, გადასახდელი აქვთ 2022 წლის საწევრო, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს

გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდებაყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ბაქარ სირაძის და ანა გუჯარაიძის გაცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, განმცხადებლებს ეცნობოთ მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, ასევე, იმის თაობაზე, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. საწევრო დავალიანების გადავადების თაობაზე განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) 2022 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების თაობაზე განცხადებებს: თეონა გაბოძე, დიანა მარტიაშვილი, სალომე კალაიჯიშვილი, მაკა

სალხინაშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ქეთევან სოფრომაძე, თამარ ნიკოლეიშვილი, ლია სარიშვილი, ნიკოლოზ ზაქარაია, დარეჯან ზედგენიძე, თამაზ სვანიშვილი, ავთანდილ გიორგაძე, ნუნუ მჭედლიშვილი, კახა კილაძე, ნუნუ ჩოჩელი, ლევან კაკაშვილი, მამუკა ლომიძე, ნატო ნებიერიძე, ეკატერინე გრძელიშვილი, ემა არზიანი, ხათუნა შალიკაძე, იასონ ხარაბაძე, გიგა კოლუა, დავით ჩალაძე, მათა დემეტრაძე, ვილერი წოწორია, ვასილ ოსეფაშვილი, გოგიტა გოგლიჩიძე, რობერტ კუხალაშვილი, თენგიზ თევზაძე, სალომე ზურაბიანი, ალექსანდრე ლომთათიძე, მევლუდ ჯანჯღავა, თამარ ლომთაძე, ტრისტან ლომიძე, გტელა გოგიჩაიშვილი, მირიან პეტრიაშვილი, მათა გულიაშვილი, თემირ გვიშიანი, მათა ტალახაძე, ია თოდუა, კახაბრ ჭიბრიშვილი, ლაშა გოლუბიანი, მზია ფხალაძე, გიორგი გოლუბიანი, მურმან ქამადაძე, ლალი ეუაშვილი, მურადი მიქელაძე, ლევან ცალუღელაშვილი, ნუგზარ დიდიშვილი, ნინო დოლიძე, რუსუდან კვინიკაძე, მარიამ სებისკვერაძე, ნელი იასაღაშვილი, თამარ გოგორელიანი, ბექტორ შერმადინი, ანა არჩვაძე;

(ბ) 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების თაობაზე განცხადებებს: ნიკა ნანობაშვილი, მარიამ ბიწაძე, ამბროსი ჭეიშვილი, ანა ჟღენტა, მარიკა ნიაზაშვილი, ხათუნა მარკოიშვილი, ქეთევან მიქელაძე, დოდო არობელიძე, სალომე ჩინჩალაძე, კახაბერ იოსელიანი, რამაზ კაკუშაძე, ბესიკ ღვინჯილია, ნინო აბაიშვილი, ილია ნაცვლიშვილი, მანანა გელაშვილი, მარინა ჯანიაშვილი, ამირან ხუციშვილი, სალომე სამხარაძე, თეა ღვინჯილია, ანა გუჯარაიძე, ხატია ქუბრიაშვილი, სოფიო გოგლიჩიძე, ივანე იორამაშვილი, ივანე სვიმონიშვილი, ავთანდილ ბუაძე, მათა კაკუშავა.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული განცხადებების განიხილვა მიზანშეწონილია მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს შესაბამის სხდომამდე.

აღნიშნული საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და მისი განხილვა გადაიდო შესაბამისი სხდომისთვის.

საკითხი 5. 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, ასოციაციის 315 წევრს უფიქსირდება 2021 წლის საწევრო დავალიანება, ხოლო 1606

წევრს - 2022 წლის საწევრო დავალიანება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და ამავდროულად, წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება დამატებით 15 კალენდარული დღით - 2022 წლის 15 მარტამდე.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2022 წლის 25 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 07 თებერვალს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 15 კალენდარული დღით, ანუ 2022 წლის 15 მარტამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2022 წლის 25 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 07 თებერვალს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 15 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 15 მარტი.

საკითხი 6. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადის შესახებ მსჯელობა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2018 წლის 07 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ახალი დიზაინის საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების თაობაზე, დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის მოქმედი სტატუსის მქონე წევრთა უმრავლესობამ უკვე შეცვალა ძველი მოწმობა.

აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელებული იყო მიმდინარე წლის 1-ელ მარტამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ძველი მოწმობის მოქმედების ვადის გაგრძელების საჭიროება არ იკვეთება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- 2022 წლის 1-ლი მარტიდან დასრულდეს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა;
- 2022 წლის 1-ლი მარტიდან ძალაში შევიდეს მხოლოდ საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ახალი მოწმობა;
- აღნიშნულის თაობაზე ეცნობოთ ასოციაციის იმ წევრებს, რომელთაც არ აქვთ შეცვლილი საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობა.

საკითხი 7. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ მოქალაქე ვარსინე კრჯაციანის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას, როგორც სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირს, სურდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 14.4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საფასურის გადახდის გარეშე დარეგისტრირება. განცხადებას თან ერთვის ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თანდართულ ამონაწერში არ იყო მითითებული მისი სახელი და გვარი იმის გამო, რომ ოჯახის სოციალური მდგომარეობის შემოწმების დროს, იგი არ იმყოფებოდა საცხოვრებელ მისამართზე. იმის დასადასტურებლად, რომ განმცხადებელი ცხოვრობდა ოჯახთან ერთად ერთ მისამართზე, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო ცნობა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 14.4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ცალსახად დადგენილია, რომ ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურისგან თავისუფლდება პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში.

ვარსინე კრჯაციანის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, არ დასტურდება, რომ მას მინიჭებული აქვს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი. შესაბამისად, იგი არ აკმაყოფილებს

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 14.4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას.

აქედან გამომდინარე აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურისგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს ვარსინე კრჯაციანის განცხადება;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე